განკარგულება:**გ-47. 47250295**
თარიღი:**29/01/2025**

განკარგულება N5

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N9 ქუჩისთვის ფილიპე მგალობლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N9 ქუჩისთვის ფილიპე მგალობლიშვილის სახელის მინიჭება მოხდეს გამონაკლისის სახით, მისი გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლამდე.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი